

შპს „პუერ-გრუპ 2000“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის ასხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	8
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება.....	8
7. მიწოდების ხარჯები	8
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8
9. ძირითადი საშუალებები	9
10. მარაგები	10
11. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

...ანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	3,867,322	4,401,495
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(1,995,666)	(2,002,764)
საერთო მოგება		1,871,656	2,398,731
მიწოდების ხარჯები	7	(3,299)	(3,040)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(190,063)	(312,037)
საოპერაციო მოგება		1,678,294	2,083,654
არასაოპერაციო შემოსავლები		7,749	7,544
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(46)	(1,236)
განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები		(9,524)	15,440
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		1,676,472	2,105,401
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება		1,676,472	2,105,401

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 5 ოქტომბერს:



რაფიკ შაუკი სიფინ აბდელმესიკ
გენერალური დირექტორი

შპს „პოლერ-გრუპ 2000“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)	1 იანვარი 2018 (არააუდიტირებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	166,781	152,725	116,543
არამატერიალური აქტივები		492	737	983
სულ გრძელვადიანი აქტივები		167,273	153,463	117,526
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	10	2,104,553	188,057	81,657
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	-	-
გადახდილი ავანსები		277,775	52,357	37,171
ფული და ფული ექვივალენტები	11	493,206	479,175	75,039
საგადასახადო აქტივები		11,444	16,409	171,744
სულ მიმდინარე აქტივები		2,886,978	735,999	365,611
სულ აქტივები		3,054,250	889,461	483,136
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		982,212	506,986	2,189,122
გაუნაწილებელი მოგება		2,031,177	354,704	(1,750,697)
სულ კაპიტალი		3,013,388	861,691	438,426
მიმდინარე ვალდებულებები				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		40,862	27,771	44,711
მიღებული ავანსები		-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		40,862	27,771	44,711
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,054,250	889,461	483,136

4-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „პოლერ-გრუპ 2000“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 1 იანვარი 2018	2,189,122	(1,750,697)	438,426
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	(1,682,136)	2,15,401	423,265
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	506,986	354,704	861,691
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	475,255	1,676,472	2,151,698
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	982,212	2,031,177	2,151,698

4-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს პოლერ-გრუპ 2000 (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2016 წლის 22 სექტემბერს და არსებობს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405168027.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად და ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობა და რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მწვანე ქუჩა, N1, კომერციული ფართი N2.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები არიან: შერიფ სადეკ ფაჰმი გრეის (28%), რაფიკ შაუკი სიფინ აბდელმესიჰ (28%), აიმან კარამ დოუს აბდელშაჰიდ (28%) აშრაფ სამი დერიას ვარდხან (16%).

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანიამ გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანია ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში არ ახორციელებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული სქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	10 წელი
სამშენებლო დგარები	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

არამატერიალური აქტივები

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლიცენზიები	3 წელი
სხვა	7 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რიალიზებული სქონლის შესაბამისი მიღებული/მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

შპს „პოლერ-გრუპ 2000“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2019	2018
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	3,867,322	4,401,495
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	3,867,322	4,401,495

6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2019	2018
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	1,343,978	1,675,699
სამშენებლო ტექნიკა იარაღები	5	13,855
პირდაპირი ხელფასი	373,694	-
საპენსიო შენატანი	8,593	-
სოციალ. დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე	816	-
დამხმარე მასალების დანახარჯები/შემენა	-	-
სამშენებლო მომსახურება	171,036	236,710
სამშენებლო დგარების იჯარა	-	653
ცვეთა და ამორტიზაცია	25,609	18,019
სხვა საოპერაციო ხარჯები	71,935	57,829
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	1,995,666	2,002,764

7. მიწოდების ხარჯები

	2019	2018
რეკლამის ხარჯი	1,017	1,450
სხვა კომერციული ხარჯები	2,282	1,590
სულ კომერციული ხარჯები	3,299	3,040

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

აღწერა	2019	2018
შრომის ანაზღაურება	148,018	254,631
დამოუკიდებელი ანგარიში	(22,203)	22,203
საიჯარო ქირა	-	-
საოფისე ინვენტარი	2,266	966
ელ. ენერგიის ხარჯი	47,324	7,278
წყალმომარაგების ხარჯი	3,945	2,087
კომუნიკაციის ხარჯები	1,453	1,966
დასუფთავების ხარჯი	-	750
საკონსულტაციო ხარჯები	-	4,500
სხვა საერთო ხარჯი	1,777	2,465
ბანკის საკომისიო	3,317	1,989
საჯარო რეესტრი (ბინების რეგისტრაცია)	4,166	13,202
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	190,063	312,037

შპს „პოლერ-გრუპ 2000“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	სამშენებლო დგარი	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მუშების საცხოვრებლის აღჭურვილობა	ჯამი
თვითღირებულება							
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	105 117	14 492	4 090	-	-	-	123 698
შემოსვლა	38 596	9 744	3 459	102	6 800	-	58 702
გასვლა	-	4 746	-	-	-	-	4 746
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	143 713	19 490	7 550	102	6 800	-	177 654
შემოსვლა	12 233	-	6 437	3 547	16 000	1 203	39 419
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	155 946	19 490	13 986	3 648	22 800	1 203	217 073
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(4 406)	(1 604)	(1 147)	-	-	-	(7 156)
ცვეთის ხარჯი	(12 217)	(3 302)	(1 684)	(3)	(567)	-	(17 773)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(16 623)	(4 906)	(2 831)	(3)	(567)	-	(24 929)
ცვეთის ხარჯი	(16 626)	(3 969)	(2 905)	(684)	(1 080)	(100)	(25 363)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(33 249)	(8 874)	(5 735)	(687)	(1 647)	(100)	(50 292)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100 711	12 888	2 944	-	-	-	116 543
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	127 090	14 584	4 719	99	6 233	-	152 725
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	122 697	10 615	8 251	2 961	21 153	1 102	166 781

შპს „პოლერ-გრუპ 2000“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საქონელი	1,886,783	1,612	-
ნედლეული და მასალები	-	-	1,695
დაუმთავრებელი წარმოება	185,207	159,384	79,962
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	32,563	27,061	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,104,553	188,057	81,657

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	46	7,919	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	493,159	471,256	75,039
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	493,206	479,175	75,039